KazTransGas
TBILISI

შ.პ.ს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№ 01-05-05-01/2393 "27" 09 2017 წ/რ

შპს „საქაერონავიგაციის" გენერალურ დირექტორს
ბატონ გოჩა მეზვრიშვილს
მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი
ტელ: 593-49-50-30; 577-29-28-62

ბატონო გოჩა,

თქვენი 2017 წლის 14 სექტემბრის №8/1332 წერილის პასუხად, რომელიც ეხება აეროპორტში მდებარე ობიექტზე მშენებლობის სამუშაოების შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი" თანახმაა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.19.30.001.226.) განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები. ამასთან, ნაკვეთზე და მის მიმდებარედ გამავალი საჰაერო გაზსადენი არ უნდა დაზიანდეს მშენებლობის წარმოებისას და არ უნდა შეიზღუდოს მისი თავისუფალი დათვალიერების და საჭიროების შემთხვევაში რემონტის შესაძლებლობა. გაზსადენის გადალაგების შემთხვევაში გადალაგებისთვის საჭირო (საინჟინრო ტექნიკური პროექტის მომზადება, სამშენებლო სამუშაოები) თანხები სრულად უნდა ანაზღაურდეს თქვენს მიერ.

პატივისცემით,

მამუკა კობახიძე
სპეციალური მმართველი

შემს: ი. ახალკაციშვილი
ტელ: 237-52-65

"საქაერონავიგაცია" შპს 28 SEP 2017 შემოსული № 578

საქართველო ,თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ.ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი: http://www.ktg-tbilisi.ge/

Грузия,Тбилиси 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл.почта: info@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: http://www.ktg-tbilisi.ge/

018549

18 a Mickevich Street
0194 Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge
Website: http://www.ktg-tbilisi.ge/

შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი''-ს სპეციალურ მმართველს

ბატონ გია ბენაშვილს

ბატონო გია,

გთხოვთ, წერილობით მოგვცეთ დასტური იმის შესახებ, რომ შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი''-ს გაზგამტარი მილი (ს/კ: 01.01.34) რომელიც გადის შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ (ს/კ: 01.19.30.001.226) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ხელს არ უშლის ზემოთ აღნიშნულ შპს „საქაერონავიგაციის“ ტერიტორიაზე საწყობის მშენებლობას.

იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. ადგილმდებარეობის გენ. გეგმა.

პატივისცემით,

გოჩა მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი

შემსრულებელი ფეშტუ-ს სამსახურის ფეტუ განყოფილებუს უფროსი დავით გუგუჩია ტ. 577-29-28-62

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

Номер: 0925/233

Дата: 25/09/2017

შპს „საქაერონავიგაციის" დირექტორ

ბ-ნ გოჩა მეზვრიშვილს

ტელ.577 29-28-62

თქვენი 15.09.2017 წლის #0915/442 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთს (ს.კ.01.19.30.001.226) კვეთს სს „თელასის" კუთვნილი 6-ის საკაბელო ელ. გადამცემი ხაზი(01.00.376).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილებაის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის" გენერალური
დირექტორის მ.შ ა. ბალჩუგოვი

შემსრ. შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
განყოფილების უფროსის მ. შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7814)

„საქაერონავიგაცია"
27 SEP 2017
შემოსული №

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

ს/ნ 31 16.09.21წ.

სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს

ბატონ სერგეი კობცევს

ბატონო სერგეი,

გთხოვთ, წერილობით მოგვცეთ დასტური იმის შესახებ, რომ სს ,,თელასის'' საკაბელო ხაზი (ს/კ: 01.00.376) რომელიც გადის შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ (ს/კ: 01.19.30.001.226) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ხელს არ უშლის ზემოთ აღნიშნულ შპს „საქაერონავიგაციის“ ტერიტორიაზე საწყობის მშენებლობას. იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია.

იხილეთ თანდართული დოკუმენტაცია.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. ადგილმდებარეობის გენ. გეგმა.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

გოჩა მეზვრიშვილი

შემსრულებელი ფეშტუ-ს სამსახურის ფეტუ განყოფილებუს უფროსი დავით გუგუჩია ტ. 577-29-28-62